585
1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

კრონლეტარეგო
ყველა
ქვეყნისა,
ზეერთდით!

№ 7

1982

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერწყმეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 7 (461) ივლისი 1982 წელი

17.293

შინაარსი

განაცხადილება პირველი

200. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. კ. მაღრაძის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

201. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ჯ. დ. კუბლაშვილის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

202. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ე. ტ. გოგოლაძის, ე. დ. ამაშუკელის, ბ. ე. სენტიურინის და თ. ბ. ჩხეიძის უფლებამოსილებათა ცნობის შესახებ.

203. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. დ. ლ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

204. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. ზ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

205. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი სასურსათო პროგრამის სარეალიზაციოდ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგები და პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების შესახებ.

მისად სასურსათო პროგრამის განსახორციელებლად რესპუბლიკის პარტიული ორგა-

ქ. ბარძიმის სახ. სპ. სსრ
საბჭოთაწინ. რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიზაციის ამოცანები და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი სელმძღვანელობისათვის აბაშის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუშაობის გამოცდილების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 10 მარტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

206. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საზოგადოებრივ წარმოებაში რესპუბლიკის დაფუძმებული შრომისუნარიანი მოსახლეობის ჩაბმისათვის მუშაობის მდგომარეობის, მისი გაუჯობესების ღონისძიებებისა და მეეთანხლირობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხების და შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიების ინფორმაციის თაობაზე.

207. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი რესპუბლიკის ეპრობისა და სახოგადოებრივი კვების სფეროში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და დარღვევებთან ბრძოლისათვის მუშაობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო მოსმრების საქონლისა და ეპრობის კომისიის ინფორმაციის თაობაზე.

208. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადწყვეტის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

209. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

210. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „კარატეს სწავლების წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

211. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

212. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მოსახლეობის ზოგიერთ წვრილ დანაშაულის და ადამიანებისადმი განაცხადებულების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

213. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი „საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

214. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი „ამხ. ვ. ს. ლაკო�ეინის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

215. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი „ამხ. ლ. გ. ვარდოსანიძის ინფორმაციის თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

216. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგგემო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან დეპუტატ ზ. ა. ჩხეიძის განთავისუფლების შესახებ.

217. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგგემო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ დეპუტატ გ. ა. ანდრონიკაშვილის არჩევის შესახებ.

218. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ.

განყოფილება მეორე

219. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. ლომიძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

220. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ე. სეტყუნსკაიასათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

221. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბეჭდვით სიტყვაში სახელმწიფო სიდიდმლოვებათა დაცვის მთავარი სამმართველოს მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

222. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ო. ანდრიაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

223. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს კოშპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვამომცემლობის მუშაკთათვის საქართველოს სსრ სპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

224. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამედიცინო მრეწველობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ სპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

225. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ე. სარალიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

226. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. დეკანაზის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

227. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. ს. შახბაზოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

228. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ა. ხარიტონაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

229. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. დ. ბერჯიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

230. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ფ. გ. შატბერაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

231. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბეჭდვით სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველოს მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

232. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

233. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვილნიუსის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

234. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ა. პერტენავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

235. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

236. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამედიცინო მრეწველობის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

237. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. კ. მაღრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

238. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. გ. ლალიევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

239. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ა. ხოჭოლავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

240. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ვ. ბასარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განკუთვნილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

200 ამხ. მ. კ. მაღრაძის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფდეს ამხ. მიხეილ კონდრატეს ძე **მაღრაძე** საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 26 ივლისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

201 ამხ. ჯ. დ. კუბლაშვილის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ჯაბა დავითის ძე **კუბლაშვილი** საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 26 ივლისი.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

202 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ვ. ტ. გოგოლაძის, ე. დ. ამაშუკელის, ბ. ე. სენტიურინის და თ. ნ. ჩხეიძის უფლებამოსილებათა ცნობის შესახებ

განიხილა რა სამანდატო კომისიის წარდგინება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ კონსტიტუციის 105-ე მუხლის შესაბამისად **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შემდეგი დეპუტატების უფლებამოსილებანი:

ვლადიმერ ტროფიმეს ძე **გოგოლაძისა,** რომელიც აირჩიეს 1981 წლის 20 დეკემბერს თბილისის ოქტომბრის რაიონის ხეთაგუროვის № 33 საარჩევნო ოლქში;

ელგუჯა დავითის ძე **ამაშუკელისა,** რომელიც აირჩიეს 1981 წლის 20 დეკემბერს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის კოლხეთის № 62 საარჩევნო ოლქში;

ბორის ეფრემის ძე **სინტიურინისა,** რომელიც აირჩიეს 1982 წლის 20 ივნისს თბილისის კალინინის გოგებაშვილის № 43 საარჩევნო ოლქში;

თემურ ნოდარის ძე **ჩხეიძისა,** რომელიც აირჩიეს 1982 წლის 20 ივნისს გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის № 348 საარჩევნო ოლქში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 2 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

203 ამხ. დ. ლ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. დიმიტრი ლევანის ძე **ქართველიშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და განთავისუფლდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 2 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

204 ამხ. ზ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. **ზურაბ** ამბროსის ძე **ჩხეიძე** საქართველოს სსრ მინისტრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილასუვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლასუკარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 2 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

205 სასურსათო პროგრამის სარეალიზაციოდ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით, რომელთაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგები და პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების შესაბამისად სასურსათო პროგრამის განსახორციელებლად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები, და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობისათვის აბაშის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუშაობის გამოცდილების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 10 მარტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის საქართველოს რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ო. გ. ვარძელაშვილის მოხსენება მოცემულ საკითხზე, საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებები გამსჭვალულია შემოქმედებითი სულისკვეთებით, ადამიანზე, პიროვნების ყოვლისმხრივი და ჰარმონიული განვითარების სულ უფრო მეტად ხელშემწყობი პირობების შექმნაზე ზრუნვით. როგორც აღნიშნული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე „სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამისა და მისი რეალიზაციის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში, დასახულ ღონისძიებათა მიზანია ქვეყნის მოსახლეობა რაც შეძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება უმოკლეს ვადებში საიმედოდ იქნეს უზრუნველყოფილი სურსათ-სანოვაგით. ეს არის არა მარტო უპირველესი ეკონომიკური, არამედ აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური ამოცანაც, რომლის გადაჭრა არანაკლებ ზემოქმედებას მოახდენს ქვეყნის ცხოვრებაზე, მის ეკონომიკაზე, ვიდრე თავის დროზე მოახდინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადწყვეტილებებმა, რომელსაც პარტიამ და ხალხმა სავსებით სამართლიანად უწოდეს ისტორიული. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლეულებში პარტიისა და სახელმწიფოს ცენტრალური ამოცანის — სასურსათო პროგრამის — გადაწყვეტაში მაქსიმალური წვლილი უნდა შეიტანოს თითოეულმა რესპუბლიკამ, თითოეულმა რაიონმა, სახალხო მეურნეობის თითოეულმა დარგმა, ქალაქისა და სოფლის ყველა შრომითმა კოლექტივმა.

ამ საერთო-სახალხო მნიშვნელობის ამოცანის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ივნისის პლენუმზე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალებში შეჯამებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ სოფლის მეურნეობაში გაწეული მუშაობის შედეგები, განსაზღვრულია რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის წინაშე მდგომი სასურსათო პროგრამის განხორციელების მთავარი პრობლემები და ამოცანები, მოცემულია რესპუბლიკის რაიონულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებათა, მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის ჩამოყალიბების ანალიზი, ღრმა მეცნიერული პოზიციიდან განხილულია სასურსათო პროგრამა ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ასპექტებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ რესპუბლიკაში გაწეულია უდიდესი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაჩქარებული განვითარების უზრუნველსაყოფად. ღრმა ცვლილებები განიცადა კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებსა მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრებისა და შრომის პირობებმა, წარმატებით გადაწყდა ბევრი სოციალური საკითხი, თვალსაჩინოდ გაიზარდა სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომის ანაზღაურება. გაუმჯობესდა მათი საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის საქმე. გადიდდა მისაცემლები და შეღავათები საზოგადოებრივი ფონდებიდან.

მთლიანად რესპუბლიკის ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე მნიშვნელოვნად განმტკიცდა აგროსამრეწველო კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არსებითად გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა. ხარისხობრივად განახლდა მანქანა-ტრაქტორების პარკის შემადგენლობა, ამაღლდა სამუშაოთა მექანიზაციის დონე მემცენარეობასა და მეცხოველეობაში. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და საბჭოთა მეურნეობებში. დაჩქარდა მიწების ქიმიზაციისა და მელიორაციის განვითარება.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად მთლიანად ბოლო თხუთმეტ წელიწადში გაცილებით მეტი გაკეთდა, ვიდრე წინა წლებში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ. მელიორირებული მიწების ფართობი გადიდდა 90 ათასი ჰექტარით, ხოლო ამ საქმისათვის გათვალისწინებული სახსრები მერვე ხუთწლედის 232 მილიონი მანეთიდან მეთერთმეტე ხუთწლედში გაიზარდა 700 მილიონ მანეთამდე. მარტო 1981 წელს სოფლის მეურნეობაში ამოქმედდა სამჯერ მეტი ძირითადი ფონდები, ვიდრე 1965 წელს. რესპუბლიკის ეკონომიკური ცხოვრებაში ღრმა ცვლილებები მოხდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ აკაკი ცინცარაძეს კომიტეტის დადგენილების გამოსვლის შემდგომ პერიოდში. მკვეთრად ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის დონე. უკანასკნელ ათ წელიწადში ჩაის ფოთლის შესყიდვა გაიზარდა თითქმის ორჯერ, ყურძნისა — 160 პროცენტით, ხილის და ციტრუსებისა — 3,5-ჯერ, ბოსტნეულისა — 111 პროცენტით, კარტოფილისა — 5-ჯერ. არსებითად გადიდდა მეცხოველეობის პროდუქციის დამზადების მოცულობა.

ამასთან ერთად სასურსათო პროგრამის გადაწყვეტას ცოტა სერიოზული პრობლემები როდი ახლავს. რესპუბლიკის საბჭოთა აქტივი საბრძოლო ამოცანად აღიქვამს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სამართლიან კრიტიკას, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში ერთ სულ მოსახლეზე ჯერ კიდევ არასაკმაოდ აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქციას. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერება დღესაც კი თითქმის ორჯერ დაბალია საშუალო საკავშირო დონეზე. არასაკმარისია რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, საშუალოდ დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობის დონე, მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დანაკარგები მისი წარმოებისა და გადამუშავების ყველა სტადიაზე, არსებობს მელიორირებული მიწების, საწარმოო ფონდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების უდიდესი რეზერვები; არადამაკმაყოფილებლად წარმოებს ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის.

მეურნეობრობის ახლანდელ ეტაპზე, როდესაც ხდება სასურსათო პროგრამის ყველა კომპონენტის საბოლოო შემუშავება, განუზომლად იზრდება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, მათი აღმასრულებელი და განმაკარგულებელი ორგანოების როლი და მნიშვნელობა, რომლებიც მოწოდებულნი არიან მუდმივი ყურადღების არეში იქონიონ რაიონულ სასურსათო პროგრამათა ჩამოყალიბების საკითხები, მათი განხორციელების გზები და შესაძლებლობანი. საბჭოთა ორგანოების მხრივ ადგილობრივ სასურსათო პროგრამათა ფორმირების პრობლემებისადმი გააზრებული მიდგომის მაგალითებთან ერთად კვლავ გვხვდება სასოფლო საბჭოების, კოლმეურნეობების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მეურნეობების, სოფლის მცხოვრებთა ცალკეული კომლის მიხედვით სურსათ-სანოვაგის ზრდის ყველა რეზერვისა და შესაძლებლობის ზედმიწევნით გაანგარიშების საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულების ფაქტები. ბევრი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭო და მათი აღმასრულებელი კომიტეტები არასაკმარისად მიზანდასახულად და ეგოიზმიერად ეკიდებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის საკითხებს, არ უზრუნველყოფენ სათანადო კონტროლს ყველა ტექნოლოგიური პროცესის დროულად და ხარისხიანად შესრულებისადმი.

აღნიშნავს რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ქვეყნის რიგ რეგიონებში, მათ შორის საქართველოში, აგროსამრეწველო გაერთიანებათა მიერ დაგროვილი გამოცდილებისათვის მიცემული მაღალი შეფასების უდიდეს მასტიმულირებელ მნიშვნელობას რესპუბლიკის მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის შემდგომი სრულყოფისათვის, უმაღლესი საბჭოს სესია პრინციპულად ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა ორგანოები ჯერ კიდევ ყველა რაიონში როდი ეხმარებიან საკმაოდ ენერგიულად და კვალიფიციურად ახლად შექმნილი რაიონების სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებებს მუშაობის სტილისა და მეთოდების შემუშავებაში, სამისო ეკონომიკური პირობების შექმნაში, რომ გაიზარდოს გაერთიანებებში შემავალი ყველა პარტნიორი საწარმოსა და ორგანიზაციის დაინტერესება როგორც სასოფლო-სამეურნეო შრომის საბოლოო შედეგებით, ისე აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების მუშაობის ეფექტიანობით.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია, რომელიც მთლიანად და სავსებით იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და მითითებებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 10 მარტის დადგენილებას და იღებს მათ განუხრელი შესრულებისათვის, **ადგენს:**

1. რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა და მათდამი ანგარიშვალდებულმა ორგანოებმა თავიანთი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიიჩნიონ 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამის ეტაპობრივი რეალიზაცია, რესპუბლიკის მშრომელთა სურსათ-სანოვაგით და მრეწველობის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით მომარაგების ძირეული დაუმჯობესების მიზნით აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის ჩამოყალიბებისა და პროპორციული და შეწონასწორებული განვითარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხრელად განხორციელება.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა:

— შეიმუშაონ და განახორციელონ ღრმად გააზრებულ რაიონულ სასურსათო პროგრამათა ჩამოყალიბების დამთავრების უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებანი სურსათ-სანოვაგის წარმოების გადიდების ყველა ადგილობრივი რეზერვისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით;

— უზრუნველყონ სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების, მათი მუდმივი კომისიების, აღმასკომების, დეპუტატთა ჯგუფების აქტიური მონაწილეობა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლების, სასოფლო-სამეურნეო შრომის ინტენსიფიკაციის, საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობრივი წარმოების პრაქტიკაში შრომის ნატურალური ანაზღაურებით აკორდულ-პრემიული სისტემის დანერგვის ღონისძიებათა განხორციელებაში;

— ყოველნაირად მიაღწიონ ზუსტ, ორგანიზებულ, რენტაბელურ მუშაობასა და თითოეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ საგგმო დავალებათა უთუო შესრულებას, მათ მიერ წლევანდელი სასოფლო-სამეურნეო წლის სეზონური სიძნელეების დაძლევას, რომლებიც დაკავშირებულია არახელსაყრელი ამინდის პირობებთან და მევენახეობის, მეხილეობის, ერთწლოვანი კულტურების ნათესების, მეცხოველეობისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების საჭიროებასთან.

3. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესმა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონულმა და საქალაქო საბჭოებმა სესიებზე განიხილონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 10 მარტის დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანები; ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების სესიებზე შექმნან აგროსამრეწველო გაერთიანებათა საბჭოები, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მათი მუშაობის გაშლას, აქტიურად წარმართონ და გააკონტროლონ შესაბამის გაერთიანებათა საბჭოების საქმიანობა.

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა:

— შეიმუშაონ და განახორციელონ წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის შენახვისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების, გადაზიდვის, შენახვისა და გადამუშავებისათვის დამამზადებელი, სატრანსპორტო, საავტო და სხვა ორგანიზაციების, სამრეწველო საწარმოთა შეთანხმებული მუშაობის უზრუნველყოფის ღონისძიებანი; გააძლიერონ კონტროლი მიწათსარგებლობისა და წყალსარგებლობის კანონმდებლობის დაცვისადმი;

— გააქტიურონ მუშაობა სამრეწველო საწარმოების დამხმარე მეურნეობებში, სოფლის მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობებსა და მებაღეობა-მებოსტნეობის ამხანაგობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაფართოებლად; პრინციპული რეგიონების გარეშე არ დატოვონ მიწისადმი უყაირათო დამოკიდებულების, მომხვეჭელობის, სპეკულაციისა და სხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა არც ერთი ფაქტი;

— სოფლის სოციალური გარდაქმნისათვის გასწორნ მიზანმიმართული სისტემატური ძვშაობა, რაც სასურსათო პროგრამის განხორციელების შემადგენელი ნაწილია; შეუნელებელი ყურადღება დაუთმონ სოფლის მშრომელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, განსაკუთრებით სოფლად მექანიზატორთა კადრების დამკვიდრებას;

— რეგულარულად განიხილონ აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების აქტუალური საკითხები, უზრუნველყონ საუკეთესო მმართველობითი გადაწყვეტილებების, წარმოების ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებისა და საწარმოების ეკონომიკის ძირეული გაუმჯობესების საქმეში შრომითი კოლექტივების შემოქმედებითი აქტიურობის ამაღლების ფართო პროპაგანდა;

— აამაღლონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების, სახალხო კონტროლიორების როლი საბჭოების გადაწყვეტილებათა შესრულების სისტემატური და ქმედითი შემოწმების ორგანიზაციაში. აამაღლონ და მხარი დაუჭირონ დეპუტატთა და საზოგადოებრივ ორგანოთა ინიციატივას სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, გეგმების და სოციალისტურ ვალდებულებათა განხორციელებაში, მომჭირნეობის რეჟიმისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფაში.

* * *

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მთელი საბჭოთა აქტივი, იხელმძღვანელებს რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ივნისის პლენუმის მითითებებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 10 მარტის დადგენილებით, ფართოდ გაშლის სოციალისტურ შეჯიბრებას სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის და თავდადებით იშრომებს პარტიისა და სახელმწიფოს, მთელი საბჭოთა ხალხის ცენტრალური ამოცანის — 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამის გადაწყვეტაში მაქსიმალური წვლილის შესატანად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

ქ. თბილისი. 1982 წლის 2 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

206 **საზოგადოებრივ წარმოებაში რესპუბლიკის დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის ჩაბმისათვის მუშაობის მდგომარეობის, მისი გაუმჯობესების ღონისძიებებისა და მუქთახორობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხების და შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიების ინფორმაციის თაობაზე**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხების და შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიების ინფორმაცია საზოგადოებრივ წარმოებაში რესპუბლიკის დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის ჩაბმისათვის მუშაობის მდგომარეობის, მისი გაუმჯობესების ღონისძიებებისა და მუქთახორობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად.

2. დაევალოთ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს განახორციელონ ღონისძიებანი საზოგადოებრივ წარმოებაში დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის დამატებით ჩაბმის თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის 30 მარტის დადგენილებით გათვალისწინებულ დავალებათა შესასრულებლად; გააქტიურონ მუშაობა შრომისაგან თავის ამრიდებელთა გამოვლენის, მათი სამუშაოზე მოწყობა-დამაგრების და აღზრდის უზრუნველსაყოფად; აამაღლონ აღმასკომებთან არსებული შრომითი მოწყობისა და მუქთახორობასთან ბრძოლის კომისიების და ქვეკომისიების, შრომის სახელმწიფო კომიტეტის ადგილობრივი ორგანოებისა და შრომითი მოწყობის ბიუროების პასუხისმგებლობა; მიიღონ კანონმდებლობით. გათვალისწინებული ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საწარმოებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, გააძლიერონ კონტროლი მუშახელის დენადობისა და სამუშაო დროის დანაკარგების შემცირებისადმი.

3. რესპუბლიკის პროკურატურამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, იუსტიციის სამინისტრომ და უმაღლესმა სასამართლომ, მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა გააძლიერონ ბრძოლა მუქთახორობასთან, მეტი ყურადღება დაუთმონ შრომისაგან თავის ამრიდებელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობას შორის პროფილაქტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, შრომის სახელმწიფო კომიტეტს და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს უზრუნველყონ შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების 1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

206 საზოგადოებრივ წარმოებაში რესპუბლიკის დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის ჩაბმისათვის მუშაობის მდგომარეობის, მისი გაუმჯობესების ღონისძიებებისა და მუქთახორობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხების და შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიების ინფორმაციის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხების და შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიების ინფორმაცია საზოგადოებრივ წარმოებაში რესპუბლიკის დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის ჩაბმისათვის მუშაობის მდგომარეობის, მისი გაუმჯობესების ღონისძიებებისა და მუქთახორობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად.

2. დაევალოთ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს განახორციელონ ღონისძიებანი საზოგადოებრივ წარმოებაში დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის დამატებით ჩაბმის თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის 30 მარტის დადგენილებით გათვალისწინებულ დავალებათა შესასრულებლად; გააქტიურონ მუშაობა შრომისაგან თავის ამორიდებელთა გამოვლენის, მათი სამუშაოზე მოწყობა-დამაგრების და აღზრდის უზრუნველსაყოფად; აამაღლონ აღმასკომებთან არსებული შრომითი მოწყობისა და მუქთახორობასთან ბრძოლის კომისიების და ქვეკომისიების, შრომის სახელმწიფო კომიტეტის ადგილობრივი ორგანოებისა და შრომითი მოწყობის ბიუროების პასუხისმგებლობა; მიიღონ კანონმდებლობით. გათვალისწინებული ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საწარმოებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, გააძლიერონ კონტროლი მუშახელის დენადობისა და სამუშაო დროის დანაკარგების შემცირებისადმი.

3. რესპუბლიკის პროკურატურამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, იუსტიციის სამინისტრომ და უმაღლესმა სასამართლომ, მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა გააძლიერონ ბრძოლა მუქთახორობასთან, მეტი ყურადღება დაუთმონ შრომისაგან თავის ამორიდებელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობას შორის პროფილაქტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, შრომის სახელმწიფო კომიტეტს და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს უზრუნველყონ შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების 1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლამდე პერიოდის მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის დაწესებულ ვადებში შემუშავება და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი შრომითი რესურსების აღრიცხვის საქმეში სრული წესრიგის დასამყარებლად, მათი ეფექტიანად გამოყენების უზრუნველსაყოფად.

5. დაეკალოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხების და შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიებს სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად გააძლიერონ კონტროლი რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობისადმი შრომისუნაროანი დაუსაქმებელი მოსახლეობის საზოგადოებრივად-სასარგებლო შრომაში ჩაბმისა და მუქთახორობასთან ბრძოლის გაძლიერების უზრუნველსაყოფად; მეტი ყურადღებით მოეკიდონ კომისიების მიერ მიღებული რეკომენდაციების, აღნიშნულ საკითხზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა უცილობლივ შესრულების საქმის ორგანიზაციას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ი. ლაშკარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 2 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

207 რესპუბლიკის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სფეროში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და დარღვევებთან ბრძოლისათვის მუშაობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო მოხელეების საქონლისა და ვაჭრობის კომისიის ინფორმაციის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლისა და ვაჭრობის კომისიის ინფორმაცია რესპუბლიკის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სფეროში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და დარღვევებთან ბრძოლისათვის მუშაობის შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად.

2. დაეკალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას, მუშათა მომარაგების ორგანიზაციებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმების დადგენილებათა შესაბამისად განახორციელონ გადამჭრელი ღონისძიებანი სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, კად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების ზნეობრივი აღზრდისა და პროფესიული დაოსტატების, ვაჭრობის კულტურის დონის მკვეთრი ამაღლების უზრუნველსაყოფად; მიიღონ ზომები მათი დაქვემდებარების ორგანიზაციებსა და ობიექტებში ვაჭრობის წესების დარღვევების აღკვეთისათვის, ამაღლონ საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისათვის; დარღვევების გამოვლენის თითოეული ფაქტი გახადონ მკაცრი მსჯელობის საგანი.

3. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა, პროკურატურამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით სისტემატური კონტროლი დაწესონ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში სოციალისტური კანონიერების დაცვისადმი, გააძლიერონ პროფილაქტიკური მუშაობა მოსალოდნელი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით.

4. დაევალოთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს მუდმივი დახმარება და კონტროლი გაუწიონ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებს მუშაობაში; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე სპეციალისტების, საქმიანი და კეთილსინდისიერი კადრების შერჩევას, კადრების სწავლება-აღზრდისათვის ზრუნვის გაძლიერებას; საბჭოების სესიებზე, აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე პერიოდულად განიხილონ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობის საკითხი; მაღლწიონ იმას, რომ მათ ტერიტორიაზე განლაგებულ ობიექტებში აღმოიფხვრას სახელმწიფო ქონების განავევება-დატაცების, მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუების, საქონლის გადამალვის, სპეკულაციის ფაქტები; მიიღონ ზომები მომხმარებელთა მომსახურების კულტურის დონის ასამაღლებლად; სისტემატურად მოისმინონ ცალკეულ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების ინფორმაციები მათს კოლექტივებში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის, სოციალისტური საკუთრების დაცვის მდგომარეობის თაობაზე.

5. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლისა და ვაჭრობის კომისიას თავის საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელოს სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით; სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმების დადგენილებებით; პერიოდულად შეისწავლოს და განიხილოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში მოსახლეობის მომსახურების მდგომარეობა; საკითხების შესწავლა-განხილვაში ფართოდ ჩააბას დეპუტატები, ადმინისტრაციული და სახალხო კონტროლის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები, სპეციალისტები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები; ამასთან სისტემატური კონტროლი დაწესოს განხილულ საკითხებზე მიღებულ რეკომენდაციათა შესრულების მდგომარეობისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განახორციელოს ზომატებითი ღონისძიებანი ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოების, მისი ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების, ვაჭრობის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფისა და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჯარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 2 ივლისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

208 „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 17 მარტის გრძანებულება — „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჯარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 2 ივლისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

209 „საქართველოს სს რესპუბლიკაში ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის ორგანიზაციის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29 აპრილის გრძანებულება — „საქართველოს სს რესპუბლიკაში ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის ორგანიზაციის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 2 ივლისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

210 „კარატეს სწავლების წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 5 იანვრის გრძანებულება — „კარატეს სწავლების წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 2 ივლისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

211 საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები:

ძ. მარგსის სახ. სკ. სსრ სახელმწიფო რესპუბლ. ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1981 წლის 30 ნოემბრისა — „საქართველოს სს რესპუბლიკაში რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე";

1981 წლის 29 დეკემბრისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 216[1] მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ";

1982 წლის 5 იანვრისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებების შეტანის შესახებ";

1982 წლის 8 იანვრისა — „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ";

1982 წლის 18 თებერვლისა — „საქართველოს სსრ სახელმწიფო დაწესებულებათა და მათ თანამდებობის პირთა უცხოეთის სახელმწიფოების დაწესებულებებთან და თანამდებობის პირებთან ურთიერთობის წესის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

1982 წლის 24 თებერვლისა — „მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებისა და სამმართველოების შექმნის წესის შეცვლის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე";

1982 წლის 4 მაისისა — „საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე";

1982 წლის 5 მაისისა — „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოს მოდმივი კომისიების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ";

1982 წლის 27 მაისისა — „თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, საგამოძიებო იზოლატორებში, დაკავებულთა ხანმოკლე მოთავსების ადგილებსა და სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმებში მოთავსებული პირებისათვის ნივთიერებების, ნივთებისა და საგნების უკანონოდ გადაცემის ან ამ პირებისაგან მათი უკანონოდ მიღებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ";

1982 წლის 27 მაისისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოკოდექსში დამატების შეტანის შესახებ";

1982 წლის 28 მაისისა — „საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ";

1982 წლის 16 ივნისისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებების შეტანის შესახებ";

1982 წლის 23 ივნისისა — „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ" და „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს შესახებ" საქართველოს სსრ კანონებში სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწ-

ველო კომპლექსის სხვა დარგების ხელმძღვანელობის საქმეში სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლებამოსილებათა საკითხებზე ცვლილებების შეტანის თაობაზე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 2 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

212 საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრის დანიშვნისა და თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები:

1982 წლის 4 თებერვლისა — „ამხ. გ. დ. მგელაძის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ";

1982 წლის 5 მარტისა — „ამხ. გ. კ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ";

1982 წლის 5 მარტისა — „ამხ. თ. ბ. კვერნაძის საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 2 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

213 „საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 21 ივნისის გრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჯარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 2 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

214 „ამხ. ვ. ს. ლუკოვკინის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 25 მაისის გრძანებულება — „ამხ. ვ. ს. **ლუკოვკინის** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჯარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 2 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

215 ამხ. ლ. გ. ვარდოსანიძის ინფორმაციის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის ამხ. ლ. გ. ვარდოსანიძის ინფორმაცია კავკასიონის უღელტეხილის გავლით რკინიგზის გამჭო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ხაზის გათვალისწინებული მშენებლობისა და მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად.

2. დავალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს ამხ. ლ. გ. ვარდოსანიძის ინფორმაციაში ამ მშენებლობებთან დაკავშირებით დაყენებული საკითხები და მიღებული ზომების შესახებ აცნობოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 2 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

216 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან დეპუტატ ზ. ა. ჩხეიძის განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი ზურაბ ამბროსის ძე **ჩხეიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 2 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

217 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ დეპუტატ გ. ა. ანდრონიკაშვილის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი გიორგი ალექსანდრეს ძე **ანდრონიკაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარედ, განთავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჯარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 2 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

218 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი გურამ დავითის ძე **მგელაძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიის წევრის მოვალეობისაგან მისი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად **დანიშვნასთან** დაკავშირებით;

არჩეულ იქნეს დეპუტატი ჰენრიხ ირაკლის ძე **მარდანოვი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიის წევრად;

არჩეულ იქნეს დეპუტატი ბორის ეფრემის ძე **სენტიურინი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის წევრად;

არჩეულ იქნეს დეპუტატი თემურ ნოდარის ძე **ჩხეიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის წევრად;

არჩეულ იქნეს დეპუტატი ელგუჯა დავითის ძე **ამაშუკელი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჯარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 2 ივლისი.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

219 ამხ. გ. ი. ლომიძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ფილოლოგიის მეცნიერების განვითარებაში დიდი დამსახურებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიტუტებისათვის მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს გიორგი იოსების ძე ლომიძეს მიენიჭოს სპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 5 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

220 ამხ. ტ. ე. სეტუნსკაიასათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა სამავშვო ლიტერატურის პროპაგანდის დარგში წლილისათვის სსრ კავშირის მწერალთა კავშირის სამავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის საბჭოს პასუხისმგებელ მდივანს ამხ. ტატიანა ეესევის ასულ **სეტუნსკაიას** მიენიჭოს სპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 20 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

221 ბეჭდვით სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველოს მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვით სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველოს ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და მისი შექმნის 60 წლისთავთან და-

კავშირებით „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ბენდელიანს ელენე კონსტანტინეს ასულს — აფხაზეთის ოლქლიტის უფროს რედაქტორს.

ფანიზარიანს ხაჩიკ სტეფანეს ძეს — საქართველოს სსრ მთავლიტის უფროს რედაქტორს.

ჯიკაევას ანასტასია ქარუმის ასულს — სამხრეთ ოსეთის ოლქლიტის რედაქტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 20 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

222 ამხ. ი. ო. ანდრიაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციებში, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს უფროსს ამხ. ირაკლი ონისიმეს ძე **ანდრიაძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 22 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

223 საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

ბერიძეს თამაზ მიხეილის ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის ინსტრუქტორს გამომცემლობის დარგში.

გორდელაძეს გურამ პავლეს ძეს — გამომცემლობის დირექტორს.

ქარაზანიშვილს ჯემალ პარმენის ძეს — გამომცემლობის მთავარ ინჟინერს.

ხაჭაპურიძეს ჯუმბერ კირილეს ძეს — გამომცემლობის მთავარი ინჟინრის მოადგილეს, საგზეთო კორპუსის უფროსს.

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

გურგენიძეს ისაკ ერასტის ძეს — ინჟინერ-დისპეტჩერს.

დონაძეს პაპუმ ბენიამინის ძეს — საამქროს უფროსს.

ნათიძეს სედიკო ბასილის ძეს — საამქროს უფროსს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

აფრიაშვილს ალექსანდრე გიორგის ძეს — მბეჭდავს.

ბოსიკაშვილს დავით გიორგის ძეს — უფროს ოსტატს.

დარასელიას ვლადიმერ იონას ძეს — ამწყობს.

ლობჟანიძეს თენგიზ მაქსიმეს ძეს — განყოფილების უფროსის მოადგილეს, მთავარ ტექნოლოგს.

მაკალათიას გივი ნესტორის ძეს — დამკაბადონებელს.

რევაზიშვილს არჩილ ვასილის ძეს — მბეჭდავს.

სეირანიანს გრიგორ მნაცაკანის ძეს — ოსტატს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“

ლასარენკოს იური თომას ძეს — გამომცემლობის დირექტორის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 27 ივლისი.

224 ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამედიცინო მრეწველობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

სამედიცინო მრეწველობის განვითარების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

დვალს გიორგი სერაპიონის ძეს — საწარმოო-აგრარული გაერთიანება „საქქიმფარმპრეპარატების“ გენერალური დირექტორის მოადგილეს.

თავაძეს ტიტე ვიქტორის ძეს — თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის უფროს ოსტატს.

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

გურგენიძეს მარგარიტა კონსტანტინეს ასულს — ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის დამფასოებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 27 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

225 ამხ. ბ. ე. სარალიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობაში, პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ბორის ერასტის ძე **სარალიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 1 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

226 ამხ. ბ. ი. დევდარიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის — სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის პარტიული მშენებლობის სექტორის გამგე ამხ. გიორგი ილარიონის ძე **დევდარიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასუვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 5 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

227 ამხ. ზ. ს. შახბაზოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის ბოლნისის რაიონული საწარმოო გაერთიანების მმართველი ამხ. ზაქარია სარქისის ძე **შახბაზოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასუვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 5 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

228 ამხ. ი. ა. ხარიტონაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის რიგებში ხანგრძლივი უმწიკვლო სამსახურისათვის, რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის სრულყოფისათვის და მზადყოფნის ასამაღლებლად გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირებით საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი ამხ. ირაკლი ალექსის ძე **ხარიტონაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 5 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

229 ამხ. ა. დ. გურჯიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის წერილების ჯგუფის გამგე ამხ. ანრი დავითის ძე **გურჯიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 8 ივლისი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

230 ამხ. შ. ბ. შატბერაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს პროფსაბჭოს საერთო განყოფილების გამგე ამხ. ფატმა გრიგოლის ასული **შატბერაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 8 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

231 ბეჭდვით სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველოს მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვით სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველოს ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და მისი შექმნის 60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

გვეტაძე ჯონდო ვარდენის ძე — საქართველოს სსრ მთავლიტის უფროსი რედაქტორი.

დოლიძე ნელი ვახტანგის ასული — საქართველოს სსრ მთავლიტის უფროსი რედაქტორი.

ლობოვი ვლადიმერ ვასილის ძე — ა/კ სამხედრო ოლქის შტაბის ოფიცერი.

ლორთქიფანიძე შალვა ბეჟანის ძე — რედაქტორი, საქართველოს სსრ მთავლიტის რწმუნებული ქ. ქუთაისში.

ნავლიძე ვალერიან დავითის ძე — რედაქტორი, საქართველოს სსრ მთავლიტის რწმუნებული ქ. რუსთავში.

სუხარევა ნინელი პეტრეს ასული — საქართველოს სსრ მთავლიტის განყოფილების უფროსი.

ხინთიბიძე ტიტე მელიტონის ძე — აჭარის ოლქლიტის უფროსი.

ხუციშვილი გიორგი იოსების ძე—საქართველოს სსრ მთავლიტის უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 20 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

232 სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის 60 წლისთავთან დაკავშირებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სამხედრო მოსამსახურენი:

ბესპალოვი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე — პოდპოლკოვნიკი.
ბაკოვენკო ნიკოლოზ გრიგოლის ძე — პოლკოვნიკი.
ლაზიაშვილი გრიგოლ გიორგის ძე — პოდპოლკოვნიკი.
ლობოდა ვალერი ივანეს ძე — პოდპოლკოვნიკი.
მანილოვი ალექსანდრე ლეონიდეს ძე — კაპიტანი.
მელნიკოვი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე — კაპიტან-ლეიტენანტი.
მიხაილიკი ნიკოლოზ თევდორეს ძე — პოლკოვნიკი.
სიმაკი კონსტანტინე ვიქტორის ძე — ლეიტენანტი.
ურიუკინი ნიკოლოზ ათანასეს ძე — პოლკოვნიკი.
შლიახტინი ვლადიმერ ივანეს ძე — პოლკოვნიკი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 22 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

233 ვილნიუსის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა იდეურ-მხატვრული და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში დიდი წვლილისა და 1982 წელს თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის **ვილნიუსის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 22 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

234 ამხ. დ. ა. პერტენავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი აქტიური მუშაობისათვის და დამბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სპორტისა და ტურიზმის განყოფილების გამგე ამხ. დავით ალექსანდრეს ძე **პერტენავა** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 22 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

235 საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოდნენ:

დალაქიშვილი შოთა ალექსანდრეს ძე — მბეჭდავი.
ელერდაშვილი გივი სიკოს ძე — მბეჭდავ-ბრიგადირი.
ელზბარაშვილი ნინო ნიკოლოზის ასული — პარტიული კომიტეტის მდივანი.
ინწკირველი თამაზ ნიკიტას ძე — **პროფსაბჭოს** კომიტეტის თავმჯდომარე.
მოდებაძე ლიუბოვ ზაქარიას ასული — ლინოტიპისტი.
სულეიმანოვი არიფ ორუჯ ოღლი — მბეჭდავ-ბრიგადირი.
ფსხუტური ტუხა ილიას ძე — ოსტატი.
ქურდოვანიძე ნოდარ გიორგის ძე — გარაჟის გამგე.
შერაზადაშვილი გერმანე ვასილის ძე — უფროსი ინჟინერი მოწყობილობის დარგში.
შიოშვილი ნინო დომენტის ასული — კომკავშირის კომიტეტის მდივანი.
ჩლაიძე ვლადიმერ თევდორეს ძე — ზეინკალ-გამმართველი.
ციხკარიძე მიხეილ რობერტის ძე — დირექტორის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 27 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

236 სამედიცინო მრეწველობის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამედიცინო მრეწველობის განვითარების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

მაისურაძე ნათელა აბრამის ასული — თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის ამპულების საამქროს დამრჩილავი.

ტკაჩუკი გრიგოლ ივანეს ძე — ქობულეთის სამკურნალო მცენარეთა საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი.

წეროძე ქალია ლავრენტის ასული — ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის მეაპარატე.

ჯობავა ალექსანდრე გრიგოლის ძე — შუა ხორგის სამკურნალო მცენარეთა საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 27 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

237 ამხ. მ. კ. მაღრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. მიხეილ კონდრატეს ძე **მაღრაძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 27 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

238 ამხ. ა. გ. ლალიევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობის განვითარებაში დამსახურების, მენავთობეთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება-აღზრდაში დიდი წვლილისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ გენერალური დირექტორის მოადგილე — მთავარი გეოლოგი ამხ. ალექსანდრე გრიგოლის ძე **ლალიევი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 27 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

239 ამხ. ი. ა. ხოჭოლავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის განვითარებაში დიდი დამსახურების, ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ივანე ანდრიას ძე **ხოჭოლავა** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 27 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

240 ამხ. რ. ვ. ბასარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში აქტიური ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი ამხ. რევაზ ვლადიმერის ძე **ბასარია** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ჯილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 28 ივლისი.

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1982 წლის 1 ივლისს ვიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომამ განიხილა საკითხი საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის შესახებ, რომელიც იხსნება 2 ივლისს; აგრეთვე მოისმინა საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრძანებულებათა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შეტანის შესახებ.

მოისმინა რა საკითხი „სკკ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა სარეალიზაციოდ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა თაობაზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

ჩითვალოს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის დიდმნიშვნელოვან ამოცანად სკკ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულება, აგრეთვე 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში აქტიური მონაწილეობა და მთელი ორგანიზატორული მუშაობა დაუქვემდებარდეს ამ ამოცანის გადაჭრას.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს დაევალათ:

— კონტროლი დაუწესონ რესპუბლიკის რაიონებში 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამის, ხოლო თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მეურნეობის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების კომპლექსური გეგმების შემუშავების ვადაში (1982 წლის 1 ნოემბრამდე) დასრულებისადმი;

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 31 მაისის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად უფრო კონკრეტულად და შედეგიანად წარმართონ მუშაობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის; ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის სოფლის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ საბჭოების აღმასკომებმა, მუდმივმა კომისიებმა, დეპუტატთა ჯგუფებმა საკონტროლო საქმიანობის გაძლიერებით მიაღწიონ სამეურნეო ორგანიზაციების ზუსტ, რენტაბელურ მუშაობას და თითოეული საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის, აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი თითოეული ორგანიზაციის მიერ საგეგმო დავალებათა უთუოდ შესრულებას;

— სასურსათო პროგრამის გადაწყვეტისადმი მიზნობრივი კომპლექსური მიდგომით აქტიურად ჩაებან სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა რეალიზაციაში, მუდმივად შეუწყონ ხელი აგროსამრეწველო გაერთიანებათა საბჭოების მუშაობას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების სისტემის სრულყოფას, მიწების მაღალეფექტიან გამოყენებას, პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დაჩქარებულ დანერგვას; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებას, მეურნეობათა და აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა რგოლის რენტაბელობის ამაღლებაში მათი დამოუკიდებლობისა და ინიციატივის გამოვლენას, მიაღწიონ მათი მუშაობის მაღალ საბოლოო შედეგებს, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის სრულად გამოყენებას; სრულყონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებასთან, შენახვასა და გადამუშავებასთან დაკავშირებული დარგების მუშაობა; ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სასურსათო პროდუქტების დანაკარგების მაქსიმალურ შემცირებას ყველა რგოლში — წარმოებიდან მოხმარებამდე;

— ყურადღება გამახვილონ სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საკითხებზე და მუდმივად სრულყონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებით სოფლის მშრომელთა მატერიალური დაინტერესების სისტემა; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ „სოფლის მოსახლეობის ცხოვრების საბინაო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების ზუსტად შესრულებას, მუდმივად შეუწყონ ხელი სოფლის სოციალურ გარდაქმნას, სოფლის მშრომელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, მათი კეთილდღეობის, კულტურის, სამედიცინო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის შემდგომ ამაღლებას;

— ადგილობრივი საბჭოების მუდმივმა კომისიებმა, დეპუტატთა ტერიტორიულმა ჯგუფებმა, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებმა განახორციელონ ყოველდღიური კონტროლი დასახლებული პუნქტების კომპლექსური კეთილმოწყობისადმი, საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ფრონტის გაფართოების, გზების მშენებლობის, კოოპერაციული და ინდივიდუალური მშენებლობის განვითარებისადმი, სოფლის მცხოვრებთა ყველა სახის მომსახურების გაუმჯობესებისადმი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იხელმძღვანელონ „მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში უფრო აქტიური მონაწილეობის მიღების მიზნით სოფლის მცხოვრებთ შეუქმნან სათანადო პირობები პირადი, დამხმარე მეურნეობების მოსაწყობად და მათი ეფექტიანობის ასამაღლებლად;

ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი სამრეწველო საწარმოთა შრომითი კოლექტივების ინიციატივასა და თაოსნობას დამხმარე მეურნეობათა შექმნაში; მიზნად დაისახონ საზოგადოებრივ კვებაზე მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახების მოთხოვნილების მაქსიმალური უზრუნველყოფა; უფრო აქტიურად შეუწყონ ხელი კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის განკუთვნილ ზონებში მოსავლიანობის ამაღლებას;

— მუდმივად სრულყონ მეურნეობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობთაშორისო გაერთიანებების სამრეწველო საწარმოებსა და მოსახლეობასთან კოოპერირების, რეგიონების მოსახლეობის ძირითადი სურსათ-სანოვაგით თვითუზრუნველყოფის ღონისძიებათა სისტემა, უფრო სრულად გამოიყენონ ყველა რეზერვი და შესაძლებლობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების რესურსების გადიდების, სურსათ-სანოვაგის ასორტიმენტის გაფართოებისა და სურსათ-სანოვაგით ვაჭრობის ფორმების სრულყოფისათვის;

— გააძლიერონ ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დანაკარგებთან, ფფლანგველობასა და უყაირათობასთან; სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველაზე მნიშვნელოვან უბნებზე შექმნან დეპუტატთა საგუშაგოები, მათში მიიზიდონ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები; სახალხო კონტროლიორებთან ერთად მოაწყონ დეპუტატთა რეიდები საზოგადოებრივი დოვლათის მოვლა-პატრონობის. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების შესამოწმებლად;

— გააძლიერონ შესრულების კონტროლი და შემოწმება, აამაღლონ ყველა დონის საბჭოების დეპუტატთა აქტიურობა სასურსათო პროგრამისა და საბჭოების რიგგარეშე სესიების მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტისათვის ბრძოლაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი მართვის საქმეში აბაშელთა გამოცდილების შესაბამისად;

— ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მოწინავე გამოცდილების გავრცელებას, მუდმივად განაზოგადონ და დანერგონ სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და მათი ორგანოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის, თითოეული დეპუტატის საქმიანობის დადებითი გამოცდილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

საქართველოს სსრ მეთვრამეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა ან სასალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგების ეხსახებ საკითხის განხილვისას აღინიშნა, რომ საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა მასების მაღალი კოლიტიკური და შრომითი აღფაკლობის ვითარებაში, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის დადგენილების განსახორციელებლად, სსრ კავშირის მექმნის 60 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად და მეთერთმეტე სუთწლედის საგეგმო დაკალებათა წარმატებით შესასრულებლად მშრომელთა ბრძოლის ნიშნით.

არჩევნები ჩატარდა ორგანიზებულად, ამომრჩეველთა მაღალი აქტივობის ვითარებაში.

არჩევნებისათვის მზადებასა და მათ ჩატარებაში უშუალო მონაწილეობა მიიღეს სახოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და ძრომითმა კოლექტივებმა.

წინასაარჩევნო კრებებზე ამომრჩევლებმა დეპუტატობის კანდიდატებს მისცეს განაწესები, გამოთქვეს კრიტიკული შენიშვნები და წამოაყენეს წინადადებები სახელმწიფო ორგანოების, სამეურნეო და სახოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის შემდეგმი გაუქმობესების თაობაზე.

რესპუბლიკაში 3.241.107 ამომრჩეველიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 3.241.025-მა, ანუ 99,99 პროცენტმა, დეპუტატობისა და სახალხო მოსამართლეობის კანდიდატების სასარგებლოდ ხმა მისცა ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა. როგორც სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის, ასევე სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეობის ყველა კანდიდატმა მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა.

არჩეულ იქნა 1 საოლქო, 65 რაიონული, 57 საქალაქო, 11 ქალაქის რაიონული, 51 სადაბო და 933 სასოფლო საბჭოს 50.643 დეპუტატი. დეპუტატთა შორის ქალია 25.403 (50,2%), უპარტიო — 29.083 (57,4%), ალკკ წევრი — 11209 (22,0%), 30 წლამდე ასაკისა — 16.863 (33,3%), მუშა და კოლმეურნე შეადგენენ 34.780 (68,7%); 28.465 (56,2%) დეპუტატობის კანდიდატი არ ყოფილა წინა მოწვევის ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი.

წინა მოწვევასთან შედარებით არჩეულია:: ქალი 0,9 პროცენტით, კომკავშრელი 1,2 პროცენტით, 30 წლამდე ასაკის 1,3 პროცენტით, მუშა და კოლმეურნე 1,0 პროცენტით მეტი.

რესპუბლიკაში არჩეული 175 სახალხო მოსამართლიდან ყველა სკკპ წევრია; ქალია 33, ანუ 18,9 პროცენტი. სახალხო მოსამართლეთა შემადგენლობა 26,3 პროცენტით განახლდა.

მიმდინარე წლის აპრილ-ივნისში ჩატარდა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები. არჩეულ იქნა 12.250 სახალხო მსაჯული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან სხდომაზე აღინიშნა, რომ არჩევნებისათვის მზადების პერიოდში ადგილი ჰქონდა ცალკეულ ხარვეზებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ახალი მოწვევის სახალხო დეპუტატთა *საოლქო, საოთხოლო და საქალაქო საბჭოების აღ*მასრულებელ კომიტეტებს გაეუმჯობესონ არჩევითი საბჭოთა კადრების სწავლება, ფართოდ ჩაიბან საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელი მუშაკები და დეპუტატები საბჭოთა მშენებლობის სკოლებსა და დეპუტატთა სკოლებში, საბჭოების მუშაობის ცალკეულ საკითხებზე პერიოდულად ჩაატარონ საინსტრუქტაჟო თათბირ-სემინარები პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი დადგენილებების, ნორმატიული აქტების გასაცნობად; აქტიურად შეუწყონ ხელი მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, დეპუტატთა საგუშაგოების და დეპუტატების საქმიანობის შემდგომ სრულყოფას, მკვეთრად გააუმჯობესონ დეპუტატთა ოთახების საქმიანობა. მიაღწიონ იმას, რომ დეპუტატები სრულად იყენებდნენ სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონით მინიჭებულ უფლებებს;

დარაზმონ დეპუტატები სკკპ ცენტრალური *კომიტეტის* 1982 *წლის* მაისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებებისა და 1982 წლის 31 მაისს სსრ *კავშირის* უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის *სხდომაზე* ამხანაგ *ლ. ი. ბრეჟნევის* გამოსვლაში მოცემული დებულებების განუხრელად განხორციელებისათვის;

ფართოდ ჩაიბან დეპუტატები საბჭოების სესიების და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადება-განხილვაში, სასურსათო პროგრამის რეალიზაციის, 1982 წლის, მთლიანად XI ხუთწლედის საგეგმო დავალებათა, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და მავნე ტრადიციებისა და გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მიაღწიონ იმას, რომ ყველა დეპუტატი აქტიურად მონაწილეობდეს დასახლებული ადგილების კეთილმოწყობაში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაში;

განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ ამომრჩეველთა განაწესების უცილობლივ შესრულებას, ამ საქმეში აქტიურად ჩაიბან დეპუტატები, დეპუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები. აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე განიხილონ საარჩევნო კამპანიის დროს შემოსული ამომრჩეველთა განცხადებები და საჩივრები და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი მათი კანონიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, მოისმინა რა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ო. ვარძელაშვილის ინფორმაცია მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდის დამატებითი ღონისძიებების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის 24 თებერვლის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, აღნიშნა, რომ მინისტრთა საბჭო სათანადო ღონისძიებებს ახორციელებს მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისა და მათი საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფისათვის.

ამასთან აღინიშნა, რომ მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში ჯერ კიდევ აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი.

*

* *

პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა და განიხილა საკითხები: საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის სახელზე შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების, განცხადებებისა და საჩივრების თაობაზე, „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მშრომელთა წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის სრულყოფისათვის ღუმეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის საქმიანობის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 17 ივნისის დადგენილების შესრულების შესახებ, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებისა და მატერიალური რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის ბორის სახალხო დეპუტატთა აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის თაობაზე და სხვ.

ყველა განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

*

* *

1982 წლის 22 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის, საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებათა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებათა განსახორციელებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმის დამტკიცების შესახებ.

*

* *

29 ივლისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. განიხილა რა საკითხი „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის დადგენილებიდან გამომდინარე სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების თაობაზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებს საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის მოთხოვნათა შესასრულებლად:

განუხრელად აამაღლონ საბჭოებისა და მათი ორგანოების ორგანიზატორული საქმიანობის დონე, განავითარონ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის მზადების მიმდინარეობისას დაგროვილი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გამოცდილება; გააძლიერონ ზრუნვა სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაჭრაში საბჭოების როლისა და აქტიურობის ასამაღლებლად;

მომავალშიც სრულყონ მუშაობის ფორმები და მეთოდები, აამაღლონ დეპუტატების, ხელმძღვანელი საბჭოთა კადრების პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, ყოველმხრივ განამტკიცონ მუშაობის შემოქმედებითი სტილი, საშემსრულებლო დისციპლინა და თვითკონტროლი;

დანერგონ ყველა საფეხურის საბჭოების მუშაობაში სისტემურობა, დაწყებული გეგმების შემუშავებით და დამთავრებული საქმის მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობის ზუსტი განაწილებით. დღენიადაგ აამაღლონ შესრულების კონტროლისა და შემოწმების ქმედითობა და ოპერატიულობა, უფრო მკაცრი კონტროლი დაწესონ სესიების გადაწყვეტილებათა, მუდმივი კომისიების რეკომენდაციათა დროულად შესრულებაზე;

განავითარონ და გაალრმაონ დემოკრატიული პრინციპები საბჭოების საქმიანობაში, გამოიყენონ მათი ჭეშმარიტად სახალხო ხასიათი, სოციალური და ეროვნული შემადგენლობა ეროვნულ და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფაზე, სახელმწიფო საქმეთა მართვაში მშრომელთა ჩაბმის უფრო ეფექტიანი ფორმების აქტიურ ძიებაზე ზეგავლენის გასაძლიერებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიწონა „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანების განხორციელების ღონისძიებანი, რომლებიც შემუშავებულია საბჭოთა სახელმწიფოს იუბილესათვის მზადებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული დადგენილების გათვალისწინებით.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიები, რომლებიც გაიმართა ამა წლის 21 ივნისიდან 4 ივლისამდე, ჩატარდა მაღალი ორგანიზებულობისა და აქტიურობის ვითარებაში; იქცა იმ საყოველთაო-სახალხო აღმავლობის კანონზომიერ გაგრძელებად, რომელიც სუფევდა საარჩევნო კამპანიის პერიოდში. არჩევნებმა ერთხელ კიდევ დამაჯერებლად ცხადყო რესპუბლიკის მშრომელების მაღალი პოლიტიკური შეგნებულობა, სოციალისტური ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მსოფლიოში მშვიდობის განსამტკიცებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს მრავალმხრივი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის მათი მხურვალე მხარდაჭერა.

არჩეულია ერთი საოლქო, 65 რაიონული, 57 საქალაქო, 11 ქალაქის რაიონული, 51 სადაბო და 933 სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

50.643 არჩეული დეპუტატიდან თითქმის ყველამ მიიღო მონაწილეობა ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიების მუშაობაში.

ყველა რგოლის საბჭოების პირველ სესიებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განხილულ იქნა სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანები და დამტკიცებულ იქნა ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმები.

პირველ სესიებზე შეიქმნა აგროსამრეწველო გაერთიანებანი; ამ გაერთიანებათა საბჭოების თავმჯდომარეები არჩეული არიან რაიონული და საქალაქო (ქალაქის ზონის) საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მოადგილეებად. შეიქმნა სახალხო კონტროლის კომიტეტები.

თუ წინა მოწვევის საბჭოების პირველ სესიებზე აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულთა შორის უმაღლესი განათლება ჰქონდა 78,9 პროცენტს, ამჟამად უმაღლესი განათლებით 81,7 პროცენტია; აღმასკომის წევრთა 57,9 პროცენტსაც უმაღლესი განათლება აქვს.

აღმასკომების შემადგენლობაში ქალთა რაოდენობა 28,4 პროცენტიდან 31,5 პროცენტამდე გაიზარდა, 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდათა რიცხვი — 7.7-დან 16,8 პროცენტამდე, ანუ წინა მოწვევასთან შედარებით 9,1 პროცენტზე მეტით. მათ შორის საკავშირო ალაგ წევრთა რიცხვი — 6,7-დან 9,8 პროცენტამდე. აღმასკომების შემადგენლობაში არჩეულ დეპუტატთა შორის 47,3 პროცენტი მუშები და კოლმეურნეები არიან, 28,2 პროცენტს უპარტიოები შეადგენენ. აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობა 46,3 პროცენტით განახლდა.

პირველად იქნა არჩეული 167 აღმასკომის თავმჯდომარე, 422 — თავმჯდომარის მოადგილე და 116 — მდივანი.

აღმასკომის წევრთა შორის იმატა სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა რიცხვმა. სახელდობრ, აღმასკომების შემადგენლობაში არჩეულია 333 ინჟინერი და ეკონომისტი, 1.405 — სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტი, 1.847 — მასწავლებელი და სხვ.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების პირველ სესიებზე შეიქმნა 6,906 დარგობრივი მუდმივი კომისია, ანუ 96-ით მეტი წინა მოწვევასთან შედარებით; მათში გაერთიანებულია 411.388 დეპუტატი, — დეპუტატთა საერთო რიცხვის 81,4 პროცენტი.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების პირველ სესიებზე განხილულ და დამტკიცებულ იქნა ამომრჩეველთა 17.230 განაწესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიების ჩატარებისას ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებსაც.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

საბჭოების, ყველა დეპუტატის, დეპუტატთა ჯგუფების, მუდმივი კომისიების და აღმასკომების მუშაობა წარმართონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებსა და გამოსვლებში მოცემული დებულებებისა და დასკვნების, „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII, IX პლენუმების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 31 მაისის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეათე მოწვევის მეხუთე სესიის დადგენილებათა უცილობელი შესრულების უზრუნველსაყოფად;

სისტემატურად შეისწავლონ და სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე განიხილონ მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმებისა და აღებული სოციალისტური ვალდებულებების შესრულების, სასურსათო პროგრამის რეალიზაციის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, მოსახლეობის სამედიცინო, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, კომუნალური მომსახურებისა და სხვა დარგების განვითარების აქტუალური საკითხები. გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცინონ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას;

განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის უფრო მეტად გაუმჯობესებისა და მათი როლის ამაღლებისათვის სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში. თავიანთ საქმიანობაში მტკიცედ იხელმძღვანელონ კანონებით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების შესახებ და კანონით სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ.

მიიღონ ქმედითი ზომები ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად. გააქტიურონ დეპუტატების, დეპუტატთა ჯგუფების, მუდმივი კომისიების და მიკრორაიონების საბჭოების საქმიანობა განაწესების შესრულების ორგანიზაციაში. განაწესების შესრულებაში მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი სამუალებები და რესურსები, მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა, ამასთან სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების შემუშავებისა და ბიუჯეტის შედგენის დროს გაითვალისწინონ განაწესების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტიურად ჩაბან დეპუტატები და მუდმივი კომისიები საბჭოების პრაქტიკულ საქმიანობაში, სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადება-განხილვასა და საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში. შეუქმნან მათ მუშაობის ნორმალური პირობები და მიაღწიონ იმას, რომ დეპუტატები და მუდმივი კომისიები სრულად იყენებდნენ კანონითა და დებულებით მინიჭებულ უფლებებს;

საბჭოების მუშაობაში განამტკიცონ საჯაროობის პრინციპი და მიაღწიონ იმას, რომ დეპუტატები, აღმასრულებელი კომიტეტები, მათი განყოფილებები და სამმართველოები რეგულარულად ანგარიშებს მოსახლეობას. შეუბოვრად იბრძოლონ ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის გამოვლინებებისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ, ფართოდ განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა. განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ მართლწესრიგის განმტკიცების საქმეს, გააქტიურონ ბრძოლა მუქთახორობის, წარსულის მავნე გადმონაშთებისა და სხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ;

სრულყონ საბჭოთა მშენებლობის სკოლებისა და დეპუტატთა სკოლების საქმიანობა. ქვემდგომი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტთა თავმჯდომარეების, მდივნებისა და მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებისათვის პერიოდულად მოაწყონ სემინარები, საინსტრუქტაჟო თათბირები და საუბრები საბჭოთა მშენებლობის აქტუალურ საკითხებზე;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებას და მათი როლის ამაღლებას სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საქმეში;

უზრუნველყონ რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების მიერ პირველ სესიებზე მიღებული არასწორი გადაწყვეტილებების გადასინჯვა და მორიგ სესიაზე მათი კანონებსა და დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

*

* *

პრეზიდიუმმა, მოისმინა რა საქართველოს სსრ პროკურორის ამხ. ა. ბარაბაძის ინფორმაცია რესპუბლიკის წყალსატევებში თევზის რესურსების დაცვისა და კვლავწარმოების შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევების თაობაზე, აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ გრძელდება თევზის რესურსების მტაცებლური მოსპობა, ბრაკონიერობა და თევზჭერის წესების დარღვევა. 1980 წელს რესპუბლიკაში ადგილი ჰქონდა თევზჭერის წესების დარღვევისა და ბრაკონიერობის 7.065, 1981 წელს — 7.368, ხოლო 1982 წლის I კვარტალში — 1.378 შემთხვევას.

შემოწმებამ გამოავლინა თევზის რესურსების დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების ორგანოების მიერ მოვალეობის შესრულებისადმი დანაშაულებრივ-დაუდევარი დამოკიდებულების მრავალი შემთხვევა, რის გამოც ადგილი აქვს ბრაკონიერობას, გამოძალვას, მექრთამეობას, თევზით სპეკულაციას და სხვა სახის ბოროტმოქმედებას.

წლების განმავლობაში უმოქმედოდ არიან მიაკოვსკის, ახალციხის, ზუგდიდის, აბაშის, მესტიის და სხვა რაიონების თევზდაცვის ორგანოების მუშაკები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თევზდაცვის ორგანოების მუშაკები ხშირად თვითონ არღვევენ კანონს და ეწევიან უკანონო თევზჭერას და სპეკულაციას, გვერდს უვლიან ბრაკონიერობის ფაქტებს და პასუხისგებაში არ აძაგებენ დამხმარე პირებს.

ხშირად ირღვევა ადმინისტრაციული კანონმდებლობის მოთხოვნა ჯარიმების გადახდევინების დადგენილი ვადის დაცვის შესახებ; საგამოძიებო ორგანოებს გადასცემენ უხარისხოდ, არასრულყოფილად შედგენილ მასალებს.

თევზდაცვის ორგანოების მუშაკები უგულებელყოფენ პროფილაქტიკურ მუშაობას, არ იღებენ ზომებს დარღვევების თავიდან ასაცილებლად, არ ართმევენ უკანონოდ დაჭერილ თევზს და არ აბარებენ სავაჭრო ორგანიზაციებს, რითაც ხელს უწყობენ თევზით სპეკულაციას. ზემოწმებით გამოვლინდა საზოგადოებრივი კვების ობიექტებში უკანონოდ მოპოვებული თევზის რეალიზაციის ფაქტები.

საწარმოების ხელმძღვანელების დაუდევრობისა და უპასუხისმგებლობის გამო რესპუბლიკის მდინარეები და წყალსატევები კვლავ ბინძურდება სამრეწველო და კომუნალური საწარმოების ჩამდინარე წყლებით, რაც დიდ ზიანს აყენებს თევზის რესურსებს. წელს რუსთავის თბომეურნეობის მიერ ნავთობპროდუქტებით მდინარე მტკვრის გაბინძურების შედეგად დაიღუპა 2 ტონა თევზი; თევზდაცვის ინსპექციამ კი აღნიშნული მეურნეობის ხელმძღვანელობა მხოლოდ ადმინისტრაციული წესით დააჯარიმა და მასალები არ გადასცა საგამოძიებო ორგანოებს. გამწმენდი ნაგებობების არარსებობის ან მათი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო ბინძურდება წყალსატევები გაგრაში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, კასპში, ჩოხატაურში.

მთელ რიგ სატბორე მეურნეობათა ხელმძღვანელების დანაშაულებრივ-დაუდევარი მოქმედების შედეგად მთლიანად იღუპება ლიფსიტები, რაც დიდ ზარალს აყენებს სახელმწიფოს (ქოლობნის, მაღლაკის, კახაბრის, ნატანების თევზმეურნეობები). აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრი თევზის მეურნეობა ვერ ასრულებს საგეგმო დავალებებს ან გეგმის გარეშე აწარმოებს თევზის რეწვას.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს თევზის უკანონო მოპოვებას ასაფეთქებელი, მომწამვლელი ნივთიერებებისა და ელექტროდენის გამოყენებით, რაც ხშირად დაკავშირებულია უბედურ შემთხვევებსა და თევზის დიდი მარაგის განადგურებასთან. საგარეჯოს, გალის, გურჯაანის, ხობის რაიონებში, სადაც ასეთი ფაქტები შეინიშნებოდა, არ მიუღიათ არავითარი ზომები ასაფეთქებელი და მომწამვლელი ნივთიერებების შეძენის წყაროს დასადგენად და დანაშაულის მიზეზების აღსაკვეთად.

თევზის რესურსების დაცვის შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევების ძირითადი მიზეზია ისიც, რომ სახალხო დეპუტატთა აღგილობრივი საბჭოები, მათი აღმასკომები, მუდმივი კომისიები არავითარ ზომებს არ იღებენ თევზჭერის წესების დარღვევის, წყალსატევების გაბინძურების ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთისათვის. მაგალითად, ოჩამჩირის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა რეაგირების გარეშე დატოვა რაიონის პროკურორის წარდგინება თევზის რესურსების დაცვის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თევზის რესურსების დასაცავად განხორციელებული ღონისძიებანი ნაკლებეფექტიანია იმის გამო, რომ საგამოძიებო ორგანოები აჭიანურებენ ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიებას, ხოლო თევზდაცვის ბევრი ინსპექცია არ არის დაკომპლექტებული სათანადო კვალიფიკაციის მუშაკებით; მესტიის, ჩხოროწყუს რაიონებს საერთოდ არ ჰყავთ თევზდაცვის სახელმწიფო ინსპექტორები.

შრომითი კოლექტივები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები არ მონაწილეობენ ბრაკონიერობასთან ბრძოლაში და სათანადო პრინციპულობას არ იჩენენ ამ საქმეში. ბუნების დაცვის ადგილობრივი ორგანოები ყოველთვის არ აცნობებენ შრომითი კოლექტივებს მათი ყუვრების მიერ ჩადენილ დარღვევათა შესახებ; სუსტია მათი კოსტაქტი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებსა და სამართალდამცველ ორგანოებთან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სათანადო დავალებანი მისცა საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს სსრ შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს და საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკის სხვა სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს, საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირს, საქართველოს სსრ პროკურატურას, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს.

*

* *

მოისმინა რა რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. კ. ბაქრაძის ინფორმაცია სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანათა გადასაწყვეტად საქალაქო საბჭოს საქმიანობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიზნადასახულობათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმისა და „სსრ კავშირის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სსრ პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილებებიდან გამომდინარე დაავალა რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს:

განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა უმოკლეს ვადაში აღმოსაფხვრელად, საბჭოს წარმმართველი, საკოორდინაციო და საკონტროლო ფუნქციების გასაფართოებლად; უზრუნველყოს სარგანიზაციო-მასობრივი მუშაობის გავლენის გაძლიერება ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა დარგზე;

აამაღლოს საბჭოს ორგანიზატორული როლი დაგეგმარებისა და სამეურნეო მექანიზმის შემდგომ სრულყოფაში, უფრო სრულად გამოიყენოს კანონებით მინიჭებული უფლებები სამოქმედო ტერიტორიაზე განლაგებული წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის, მათი მუშაობის ხარისხის ამაღლების, მშრომელთა ყოფა-ცხოვრების დონის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად;

მუდმივი კონტროლი დაიწესოს შრომითი კოლექტივების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე, რათა ყოველი საწარმო, უბანი, საამქრო მუშაობდეს რიტმულად და რენტაბელურად, მოიცვმული ასორტიმენტის მიხედვით აწვდიდეს ქვეყნის სახალხო მეურნეობას მაღალხარისხოვან პროდუქციას, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს დაკვეთების შესრულებას სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსებისათვის. მიწოდების ჩაშლის თითოეული ფაქტი განხილულ იქნეს როგორც სახელმწიფო დისციპლინის ყველაზე უხეში დარღვევა;

ქმიფურ ქარხანაში არსებული ჩამორჩენის დასაძლევად, რაც საგრძნობლად აქვეითებს ქალაქის შრომითი მიდწევების საერთო მაჩვენებელს, გააქტიუროს მუდმივი კომისიების, დეპუტატების, დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და აქტივის, სახალხო კონტროლისა და სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობა და მათი მუშაობის საბოლოო შედეგების ეფექტიანობა. სოფლის მეურნეობისათვის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული მინერალური სასუქების მიუწოდებლობის ყველა ფაქტი გახადოს **აღმასკომის** მსჯელობის საგანი. არ დაუშვას კადრების დენადობის, გაცდენებისა და არაშრომებლური მოცდენების შემთხვევები; იბრძოლოს შრომის დისციპლინის, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის;

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს საწარმოებს, სამეურნეო ორგანიზაციებსა და დეპუტატებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას XI ხუთწლედში სახალხო მეურნეობის კომპლექსური განვითარების გეგმების შესრულების, კოოპერირების საფუძველზე სასურსათო პროგრამის განხორციელების და სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრის უზრუნველსაყოფად;

სრულყოს საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის ფორმები და მეთოდები; განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოს სესიების მომზადებისა და სესიებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულების ორგანიზაციას. იზრუნოს მუდმივი კომისიების, დეპუტატების, დეპუტატთა ჯგუფების, დეპუტატთა საგუშაგოების და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების საქმიანობის დონის ასამაღლებლად;

ყურადღების არეში მუდმივად იქონიოს სოციალური პრობლემების გადაწყვეტის, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე ზრუნვის, მშრომელთა საყოფაცხოვრებო, კომუნალური, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის, სავაჭრო და კულტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების, სოციალისტური დისციპლინის, მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცების საკითხები.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სხდომაზე მოისმინა სხვა **საკითხებიც.**